

ხელფასის ატვირთვა ბანკში

სისტემაში შესაძლებელია დათვლილი უწყისების გადაგზავნა სხვადასხვა ბანკში როგორც ვებ სერვისით, ასევე xml ფაილის საშუალებით. ეს ბანკებია : საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ტერა ბანკი, ლიბერთი ბანკი და ალტა სოფტვეარით (ნონიაშვილის მოდული) მომუშავე ბანკები.


საქართველოს ბანკში და თიბისი ბანკში დათვლილი უწყისების გადაგზავნა შესაძლებელია ორივე მეთოდით: ფაილით და ვებ სერვისით. ტერა ბანკში და პროკრედიტ ბანკში ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ ვებ სერვისით, ხოლო ალტა სოფტვეარით მომუშავე ბანკებისთვის უწყისის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ xml ფაილის საშუალებით. განვიხილოთ ბანკში უწყისის ატვირთვა ორივე მეთოდით თიბისი ბანკის მაგალითზე.

დათვლილი უწყისების ატვირთვის ტექნიკა ერთი და იგივეა ყველა ბანკისთვის. განსხვავებულია მხოლოდ xml ფაილის შემთხვევაში ფაილის არჩევის და ვებ სერვისის შემთხვევაში ბანკის ავტორიზაციის ფორმები.


უწყისის ატვირთვამდე სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებში მითითებული უნდა იყოს იმ ბანკის რეკვიზიტები, რომელი ბანკიდანაც ხდება ხელფასების გადარიცხვა.

ბანკის კოდი	ბანკის დასახელება	ანგარიში	დასაბ
TBCBGE22	თიბისი ბანკი	GE35TB7388936080100001	121


იმ შემთხვევაში თუ სისტემის პარამეტრებში მფლობელ ორგანიზაციას არ ექნება მითითებული ბანკის რეკვიზიტები, ჩვენს შემთხვევაში თიბისი ბანკის რეკვიზიტები, უწყისის ატვირთვის დროს იხილავთ შესაბამის შეტყობინებას




დათვლილი შედეგების ასატვირთად გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ხელფასი/თანამშრომლები და ხელფასის შედეგები“ და ეკრანის ზედა ნაწილში დააჭირეთ ნებისმიერ ველს, რათა აირჩიოთ ის დათვლილი უწყისი, რომლის ატვირთვაც გსურთ



უწყისის ასატვირთად დააჭირეთ ღილაკს „თიბისი ბანკში ხელფასის ატვირთვა (ვებ სერვისით)“



იხილავთ ეკრანს:



მიუთითეთ დოკუმენტის ნომერი და გადარიცხვის განხორციელების თარიღი. იმისდამიხედვით თუ რა გვინდა გაყვეს უწყისის დანიშნულებაში უნდა მოვნიშნოთ შესაბამისი მოსანიშნი.

რა ინფორმაცია ჩავეწეროთ დანიშნულების ველში

თითოეულ ჩანაწერს გავაყოლოთ წელი, თვე და რიცხვი

აგვრიფოთ ხელით

დანიშნულების ველი

ხელფასი


პირველი მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში ჩვენს მიერ გადაგზავნილ უწყისს დანიშნულების ველში თითოეული ჩანაწერის გასწვრივ გაყვება დათვლილი უწყისის შესაბამისი წელი, თვე და რიცხვი. ხოლო მეორე მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში დანიშნულების ველში გაყვება ის ინფორმაცია, რასაც მოცემულ ეკრანში შევითანთ ხელით. მოვნიშნოთ პირველი მოსანიშნი.

როგორც ხედავთ ეკრანის ქვედა ნაწილში მოცემულია სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებში მითითებული საბანკო ანგარიშების ჩამონათვალი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში გაფილტრულია თიბისი ბანკის ანგარიშებით (პარამეტრებში რომ ყოფილიყო დამატებული თიბისი ბანკის რამოდენიმე ანგარიში, ეკრანზე იხილავდით ყველა ნაგრიშს). სისტემა ავტომატურად ფილტრავს ანგარიშებს იმის მიხედვით, თუ რომელ ბანკში ხდება დათვლილი უწყისის ატვირთვა. მონიშნეთ ანგარიში, რომლიდანაც უნდა მოხდეს ხელფასების გადარიცხვა

აირჩიეთ ბანკის ანგარიში ამონაწერის მისაღებად

მონიშნეთ	ბანკის ანგარიში	ბანკის კოდი	ბანკის დასახელება
<input checked="" type="checkbox"/>	GE35TB7388936080100001	TBCBGE22	თიბისი ბანკი


და დააჭირეთ ღილაკს „OK“.



გამოსულ ეკრანშიც დააჭირეთ ღილაკს „OK“. ეკრანზე იხილავთ თიბისი ბანკის ავტორიზაციის ფორმას.

ORIS Communicator (v 1.0.3.6)

PaymentGELBulk GE35TB7388936080100001


 მომხმარებელი / User

პაროლი / Password

დიჯიტასი / DG Pass

OK Cancel

თიბისი ბანკის ინტერნეტბანკინგთან დასაკავშირებლად მიუთითეთ მომხმარებელი, პაროლი, დიჯიტასის კოდი და დააჭირეთ ღილაკს "OK". უწყისების საბოლოო


დასარეგისტრირებლად უნდა შეხვიდეთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკინგში და დაადასტუროთ თქვენ მიერ გადაგზავნილი გადარიცხვები.

საქართველოს ბანკის ვებ სერვისით სარგებლობის შემთხვევაში ბანკის ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:





ამ შემთხვევაში უნდა მიუთითოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი და დააჭიროთ ღილაკს „ინტერნეტბანკში შესვლა“. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ბანკის ვებ სერვისით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თქვენს კომპიუტერზე დაყენებულია ოპერაციული სისტემა Windows10 ან მომდევნო ვერსიები.


პროგრედით ბანკის ვებ სერვისით უწყისის ატვირთვის შემთხვევაში ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:




ტერა ბანკის ვებ სერვისით უწყისის ატვირთვის შემთხვევაში ავტორიზაციის ეკრანს აქვს შემდეგი სახე:




განვიხილოთ როგორ ხდება ხელფასები გადაგზავნა მეორე მეთოდით ანუ xml ფაილის დაფორმირების საშუალებით. დააჭირეთ ღილაკს  - თი-ბი-სი ბანკში ხელფასის ასატვირთი ფაილის მომზადება.




გამოსულ ეკრანში მიუთითეთ დოკუმენტის ნომერი, თარიღი. დანიშნულების ველის დასაფორმირებლად მონიშნეთ სასურველი მოსანიშნი და დააჭირეთ ღილაკს „OK“



დაეთანხმეთ შეტყობინებას „OK“ ღილაკზე დაჭერით.



იხილავთ შეტყობინებას, რომ შედეგების ექსპორტი წარმატებით დასრულდა. აქვე მითითებულია ფაილის მარშუტი და დასახელება, რომელიც შემდგომ უნდა აიტვირთოს თიბისი ბანკის ვებ გვერდზე. დააჭირეთ ღილაკს "OK" და ვნახოთ მითითებულ მარშუტზე ჩვენს მიერ დაფორმირებული ფაილი.



დახურეთ ეკრანი. ფაილის დაფორმირების შემდეგ აუცილებლად უნდა შეხვიდეთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკინგის ვებ გვერდზე, აირჩიოთ სისტემის მიერ დაფორმირებული ფაილი და საბოლოოდ დაარეგისტრიროთ თქვენს მიერ გაექსპორტებული შედეგები.